პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 2 აპრილი, 1949 წ. № 64 (8367). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე—„პრავდის“ 1-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მისალმება საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობისადმი (1-ლი გვერდი).

საკავშირო ალკა XI ყრილობა (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ (მე-2 გვერდი).

ვ. მელქაძე — მნიშვნელოვანი ეტაპი ბოლშევიკური პარტიის შემქმნისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).

დრამულად დავამთავროთ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვედა გუშინ საკავშირო ალკა XI ყრილობა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მისალმებას.

კომკავშირის მუშაობის მაღალი შეფასება, რაც მოცემულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, გამოიწვევს კომკავშირელთა მთელი ცხრამილიონიანი არმიის, ჩვენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობის კანონიერ სიამაყეს. ყოველი ახალგაზრდა პატრიოტი ნამში დაინახავს ჩვენი საქმის — კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისაკენ მიმართული თავისი შრომის, თავისი შეცადინების შეფასებასაც.

„ლენინური კომკავშირი, — ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, — საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმია, ბოლშევიკური პარტიის სიმედო რეზერვი და ერთგული თანაშემწეა. ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა, რომელიც აღზარდა და რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, განვლო დიდი და სახელოვანი გზა, გამოზარდა მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი“.

იცხოვროს და იმუშაოს ლენინის ანდერძის მიხედვით, იცხოვროს და იმუშაოს ისე, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, — აი ის დიადი მიზანი, რომელიც აღაზნებს მილიონობით ახალგაზრდის გულს, ჩვენი ქვეყნის თვითეულ ჯაბუკსა და ქალიშვილს უნერგავს დაუცხრომელ, ყოველი სიძნელის გადამლახველ ენერგიას.

მესამე დღეა ყრილობაზე გრძელდება კამათი საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. ყოველი დელეგატი გამოსვლა შესანიშნავი ილუსტრაციაა იმ მეფსებისა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა კომკავშირს, როგორც თავის ერთგულ თანაშემწეს და მებრძოლ რეზერვს.

ჩვენი სამშობლოს დიდაქალაქ მოსკოვში ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალგაზრდა მუშების 95 პროცენტზე მეტი იღებს მოწაწილეობას. ასი ათასამდე ახალგაზრდა მოსკოველმა უკვე შეასრულა ხუთი წლის საწარმოო ნორმა.

უკრაინაში ათიათასობით ახალგაზრდელი რგოლი ჩაბმულია უზვი, მყარი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრებაში. ხარკოვის, სტალინოს და ვოროშილოვგრადის კომკავშირელებმა თავი გამოაცხადეს ტყის ნარგავთა შეფეებად და ვალდებულება იკისრეს ტყის გაშენების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ არა 15, არამედ 4 წელიწადში. ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა უკრაინის მილიონობით ახალგაზრდა კოლმეურნის უმახლობელესი საქმე გახდა.

უზბეკეთში ახალგაზრდა გოლოდნაია სტეპის ათვისების სული და გულია. ათასობით ახალგაზრდა კოლმეურნე ეხმარება პარტიას, რომ ოდესღაც მწირი ეს მიწა ნაყოფიერ აყვავებულ მხარად აქციოს, რომ უზბეკეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო მეტი ბამბა მისცენ სამშობლოს.

ბელორუსიაში ახალგაზრდობა დაუღალავად შრომობს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების მიერ რისპუბლიკის დანგრეული მეურნეობის რაც შეიძლება მალე აღსადგენად. ბელორუსიის კომკავშირი შეფობას უწევს უდიდეს სამრეწველო ახალშენებლობებს. მარტო ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ბელორუს კომკავშირელთა ხელით აგებულ იქნა 900-ზე მეტი კლუბი და ქოხ-სამკითხველო.

აზერბაიჯანში ახალგაზრდა ნავთის მუშაოთა ძალებით ამუშავდა 450-ზე მეტი უმოქმედო ნავთის ჭაბურღილი, ამასთან ამ ჭაბურღილებისათვის მოწყობილობა თვითონ ახალგაზრდა მუშებმა გამონახეს და შეაკეთეს.

ყუბანში, სადაც მიხალოვკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირ ამხ. შაკაის თაოსნობით გაჩაღდა შეჯიბრება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა საუკეთესო ხარისხისათვის, კომკავშირელები ახალგაზრდა ბრიგადოთა მთელი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვის ჩრეებულად მოწყობით მტკიცე და სიმაღლე საფუძველი ჩაუყარონ უზე და მყარ მოსავალს.

ასეთი მაგალითი შეიძლება ძალიერ ბევრი მოვიყვანოთ. ეს მაგალითები მოჰყავს ყოველ დელეგატს, რომელიც კომკავშირის XI ყრილობის ტრიბუნაზე გამოდის. რას მოწმობენ ეს მაგალითები? ისინი იმას მოწმობენ, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ კომკავშირის სახით აღზარდა ერთგული მებრძოლი თანაშემწე თავის დიად საქმეებში, რომელნიც ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა მიხედვით სრულდება.

„კომკავშირი, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 22 წლის წინათ, — ყოველთვის იყო ჩვენი მებრძოლების პირველ რიგებში. იმედი გვაქვს, რომ კომკავშირი შემდგომაც პირველ რიგებში იქნება და გასწევს წინ სოციალიზმის დროშით“.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი ღირსეულად ამართლებს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამ სურვილს.

ომისწინა სტალინური ხუთწლედების მახანძლზე კომკავშირელები სოციალისტური ინდუსტრიის ძმენებელთა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები საბჭოთა არმიის მეომრებისა და ზურგის მშრომელთა პირველ რიგებში იყვნენ. მათ თავიანთი სისხლით, თავიანთი თავდადებული შრომით ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს იმ ბრძოლის სახელოვან მატიანეში, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწოდა ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტური მონობისაგან ქაცაბრიობის ხსნისათვის. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ახალგაზრდობა, მთელ ხალხთან ერთად, ლენინ-სტალინის პარტიის მოწოდებით, ძალადა შრომას არ ზოგავს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში რწმენა გამოთქვა, რომ კომკავშირი „ყველაზე დარაზმავს ახალგაზრდა პატრიოტების ძალებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად და სახელს მოიხვეჭს ახალი საგმირო საქმეებით კომუნიზმის გამარჯვებისათვის“. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნაჩვენებია გზა, რომლითაც უნდა იაროს კომკავშირმა, რათა პირნათლად შეასრულოს პარტიის, ამხანაგ სტალინის მიერ მისთვის დასახული ამოცანები. ეს გზა არის გაუწყვეტელი დიდი მუშაობა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. კომკავშირის მთელი ძალები, მთელი ყურადღება იმისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახალგაზრდობაში აღიზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის მზადმყოფი მებრძოლი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„საჭიროა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ კომკავშირი მუდამ გამსჭვალული იყოს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული, მუდამ იქნება ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში, იბრძოლებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

საკავშირო ალკა ყრილობაზე მთელი რიგი ქვეყნების დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენელთა გამოსვლებმა ცხადყვეს, რომ კომენისტური საზოგადოების აშენებისათვის, მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა ალაგმისათვის ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტების თავდადებული ბრძოლა აღმაფრთოვანებელი მაგალითია მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობისათვის. გულთბილმა მოდებამ, რომლითაც ყრილობაზე ამ გამოსვლებს შეხვდნენ, ცხადყო, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა დიდად აფასებს სხვა ქვეყნების დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან მეგობრობასა და სოლიდარობას. მას შეეზებული აქვს თავისი შრომის მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და დემოკრატიის პრინციპების გამარჯვებისათვის.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. ყრილობის დელეგატები მთელი სამკვეთრით, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე აუმკარავებენ ნაკლოვანებებს, განაზოგადებენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მდიდარ გამოცდილებას, რაც შემძენილია უკანასკნელ წლებში, და პრაქტიკულ ღონისძიებებს სახავენ კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობის გასაუმჯობესებლად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გვიჩვენებს კომკავშირელი მუშაობის შემდგომი აღმავლობის, ახალგაზრდობის მასებში კომკავშირის გავლენის უფრო გაძლიერების, იმ ამოცანების უკეთ განხორციელების გზას, რომლებიც დასახული პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი მამისა და მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მიერ.

„პრავდის“ 1-IV მოწინავე

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობას

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობას და მისი სახით საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა ცხრამილიონიან არმიას.

ლენინური კომკავშირი საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმია, ბოლშევიკური პარტიის სამიდო რეზერვი და ერთგული თანაშემწეა. ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა, რომელიც აღზარდა და რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, განვლო დიდი და სახელოვანი გზა, გამოზარდა მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე კომკავშირი, წარმატებით ეუფლებოდა ო რ მეცნიერებასა და ტექნიკას, სოციალისტური ინდუსტრიისა და კოლექტიური სოფლის მეურნეობის მშენებელთა პირველ რიგებში იყო.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები მონაწილეობდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში, უდიდესი სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინეს და ცხადყვეს ურყევი ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის მოწოდებით აქტიურად მონაწილეობს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

თავისი პატრიოტული საქმიანობით კომკავშირმა მოიპოვა ჩვენი ხალხის პატივისცემა და სიყვარული. სამშობლოს წინაშე კომკავშირის დამსახურება აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს წყვეტს, უფრო მეტად იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომენისტური აღზრდის საქმეში. კომკავშირმა ახალგაზრდობაში უნდა აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის მზადმყოფი მებრძოლები ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც დარაზმავს ახალგაზრდა პატრიოტების ძალებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად და სახელს მოიხვეჭს ახალი საგმირო საქმეებით კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ეშვი არ ეპარება, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ახალგაზრდობა ყოველთვის იქნება ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში, იბრძოლებს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს —ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ თანაშემწეს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელ მამასა და მეგობარს ამხანაგ სტალინს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

საკავშირო ალკა XI ყრილობა

30 მარტის საღამოს სხდომა

30 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა კომკავშირის ზღვისპირეთის სამხრეთ კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. პ. რატანოვმა.** იგი აბასიათებს ზღვისპირეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე მიმხდარ უდიდეს ცვლილებებს და ლაპარაკობს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობაზე ომისშემდგომ სოციალისტურ მშენებლობაში.

ყრილობის დელეგატებს მისალმებით მიმართავს ჩეხოთის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ზ. გეიზლარმა,** რომელსაც ყრილობა გულთბილად შეხვდა.

კომკავშირის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. ა. ნიკიტინი** ლაპარაკობს სტალინური ოთხ ალგაზრდობის წარმატებებზე, კომკავშირელთა ბრძოლაზე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. იგი აშბობს, რომ ოლქის მრეალმა ახალგაზრდა მუშამ შაჩაან ვადამდე შესრულა გამომუშავების ნორმები და ათი ათასზე მეტმა კაცმა შეასრულა ხუთი წლის ნორმა. ეს წარმატებანი მოპოვებულია მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე.

ამხ. ნიკიტინმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ახალგაზრდობის განათლების საკითხებს, მოწონებულ მეცნიერებისა და კულტურის დაუფლების ამოცანებს. იგი აყენებს საკითხს მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის ძირეული გაუმჯობესების, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ.

ა. ი. მიქოიანი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ელაოსოვი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ჩერნოუსოვი, მინისტრები—ს. ვ. კაფტანოვი, მ. ა. მენშიკოვი, ვ. ი. სმირნოვი, ა. გ. ზვერევი, ა. ა. იუდინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალები ი. ს. იუმაშევი და ა. გ. გოლოვკო, ა. თ. გორკინი, ი. ა. პარფენენი, ნ. პ. ფარიუტინი, ნ. ნ. დანილოვი, პ. ნ. კუზმიკინი, ი. თ. სემიჩასტნოვი, მ. რ. კუზმინი, მ. ა. სერგეიჩუკი, პ. ვ. ანრამოვი, სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ა. ა. ვოზნესენსკი, ნ. გ. პალგუნოვი, ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, არტისტები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია ა. წ. 18 აპრილს ქალ. თბილისში.

დარბაზობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ალბანეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

30 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ი. ვიშინსკის სახელით დარბაზობა გაიმართა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი სპირო კოლეკა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კოჩო ტეოდოსი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვასილ კატი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ჯადეფერ სპახიუ, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი შინაზი დრაგოტი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ნეჯიბ ვინჩანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ს. ვ. კაფტანოვი, სსრ კავშირის საგანმრეთლების დაცვის მინისტრი ე. ი. სმირნოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზვერევი, სსრ კავშირის

დარბაზობა ალბანეთის მოსკოვის მისიაში

30 მარტს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა სსრ კავშირში ბ-ნმა მიხალ პრიფტიმ დარბაზობა გამართა მოსკოვში მყოფი ალბანეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი სპირო კოლეკა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კოჩო ტეოდოსი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვასილ კატი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ჯადეფერ სპახიუ, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი შინაზი დრაგოტი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ნეჯიბ ვინჩანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ს. ვ. კაფტანოვი, სსრ კავშირის საგანმრეთლების დაცვის მინისტრი ე. ი. სმირნოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზვერევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ა. მერეცკოვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ი. თ. სემიჩასტნოვი და მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ბ. ს. ჩუვახინი, ადმირალი ი. ს. იუმაშევი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ვ. ანრამოვი, არმიის გენერლები გ. კ. მალანდინი და მ. ვ. ზახაროვი, რსფსრ განათლების მინისტრი ა. ა. ვოზნესენსკი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

(საკდესი).

პირველი ჰექტარები

გორი. (საკ. კორ.). რაიონის მეჭარხლე კოლმეურნეობანი შეუდგნენ შაქრის ჭარხლის თესვას. პირველ დღეს დათესეს 22 ჰექტარი. სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეებმა დათესეს 10 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, სოფელ თორტიტიისამ — 7 ჰექტარი, პატარა ხურვალთმა — 5 ჰექტარი.

მალე დაიწყება შაქრის ჭარხლის მასობრივი თესვა.

საკავშირო ალკკ XI ყრილობა

31 მარტის დილის სხდომა

31 მარტს, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **პ. მ. მაშეროვმა** ილაპარაკა ახალგაზრდობის თავდადებულ შრომაზე რესპუბლიკის მტრის შემოსევით ძალიან დაზიანებული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. რესპუბლიკის ათი ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი შრომობენ ახალ მშენებლობებზე, აქედან 5 ათასი კაცი მუშაობს ქალაქ მინსკის სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნების მშენებლობაზე.

ახალგაზრდობიდან გაიზარდა უხვი მოსავლის ასობით ოსტატი, რომლებიც დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ამხ. მაშეროვი შეეხო ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. კომკავშირმა შეიძინა პროპაგანდისტული მუშაობის უდიდესი გამოცდილება, ამბობს იგი, მაგრამ ამ გამოცდილების შესწავლა და განზოგადება სუსტად არის დაყენებული არამარტო ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, არამედ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტშიც.

— შრომითი საგმირო საქმეებით არის ალსავსე ახალგაზრდობის ცხოვრება,—ამბობს კომკავშირის ივანოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. პ. სინოტოვა**.—ათი ათასობით ახალგაზრდა მუშამ, ათასობით ახალგაზრდულმა ბრიგადამ შარშან ვადამდე შეასრულეს წლიური ნორმები. კომკავშირელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამხ. ჩუტკიხის პატრიოტულ თაოსნობას: ქალაქ ივანოვის საფეიქრო საწარმოებში შექმნილია საუკეთესო პროდუქციის გამომშვები ბრიგადები.

საქართველოს კომკავშირელთა ცხოვრებაზე, შრომით საქმიანობაზე და სწავლაზე ილაპარაკა ყრილობაზე რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. ს. ზოდელავამ**. XI ყრილობის პატივსაცემად თბილისის საწარმოთა და ტრანსპორტის ახალგაზრდობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 165 დაზგა, ნართისა და ქსოვილების დიდი პარტია, შეაკეთა 12 ორთქლმავალი და სხვ.

ამხ. ზოდელავა ლაპარაკობს რესპუბლიკის ახალგაზრდობის მონაწილეობაზე ახალ რაიონებში ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გავრცელებაში, უდიდესი ახალი მშენებლობის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიმართ კომკავშირის შეფობაზე. შემდეგ იგი ჩერდება პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს დონბასის ახალგაზრდა მნგრეველის ამხ. **ა. ა. კრივოპიშინის** გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა დონბასის ახალგაზრდა მაღაროელთა წარმატებებზე, თავისი ბრიგადის სტახანოვურ მუშაობაზე.

მოხსენებით გამოსულმა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ნ. შელეპინმა** განაცხადა, რომ სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყრილობის დელეგატთა რწმუნებანი და გამოარკვია, რომ უკლებლივ ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში არჩევნები ჩატარდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის სრული შესაბამისობით. დელეგატთა არჩევნები მიმდინარეობდა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში.

ყველა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ საკავშირო ალკკ XI ყრილობის პირველ დელეგატად ერთსულოვნად აირჩია კომუნიზმის დიდი ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

ამ ცნობას ყრილობის დელეგატები და სტუმრები მქუხარე ოვაციით ხვდებიან. გაისმის შეძახილები: „კომკავშირის XI ყრილობის პირველ დელეგატს ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „ახალგაზრდობის მეგობარს, ამხანაგ სტალინს ვაშა!“.

ყრილობის დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ცნობას იმის შესახებ, რომ ყრილობის დელეგატებად აგრეთვე ერთსულოვნად არიან არჩეული ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი.

ამხ. შელეპინი ახასიათებს ყრილობის რიცხობრივ შემადგენლობას და მოყავს შედარებითი ცნობები. ისინი ცხადყოფენ, რომ კომკავშირის X ყრილობიდან განვლილ პერიოდში საკავშირო ალკკ რიგები ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1.031 დელეგატს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდო. ეს მოწმობს გმირობას, სიმამაცესა და გამბედაობას, რაც საბჭოთა ახალგაზრდობამ გამოიჩინა დიდი სამამულო ომის პერიოდში, მოწმობს საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების თავდადებულ შრომას ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში.

მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას ყრილობის ნაციონალური შემადგენლობა — დელეგატთა შორის 44 ეროვნების წარმომადგენელია.

აზერბაიჯანის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ქერიმოვმა** ილაპარაკა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე, ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობაზე. კომკავშირის ბევრი წარგზავნილი მუშაობს მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე, რომლის ამუშავებაც გარდაქმნის უსიცოცხლო ველებს. გაიზარდა კომკავშირელთა აქტივობა სოფლად. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია კომკავშირული ორგანიზაციები. 32 კომკავშირელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ამხ. ქერიმოვი ლაპარაკობს რესპუბლიკის ნავთის მრეწველობის განვითარებაზე და პირობას აძლევს ყრილობას, რომ ახალგაზრდა ნავთის მუშაკები კვლავაც სტახანოვურად იმუშავებენ, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ნავთით უზრუნველყონ მზარდი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

კომკავშირის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ვ. ვოროპაევმა** ილაპარაკა ყუბანის ახალგაზრდობისა და კომკავშირელთა თავდადებულ შრომაზე, მათს ბრძოლაზე ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამხ. ვოროპაევი ლაპარაკობს, რომ ყუბანის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ენერგიულად იბრძვიან ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები საკმაოდ არ უჭერენ მხარს ამ საქმეში ახალგაზრდობის ინიციატივას.

იჟევსკის მანქანათმშენებელი ქარხნის საკავშირო ალკკ კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. დ. ოსიპოვამ** ილაპარაკა ქარხნის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ბრძოლაზე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდა მოსკოვის სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების აღსაზრდელთა დელეგაცია. დარბაზში გაისმის საზეიმო მარშის ხმები. ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით მიესალმებიან სტალინური შრომის რეზერვების წარმომადგენლებს.

მოსწავლე **ვიქტორ გონჩარენკომ** დედაქალაქის სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების აღსაზრდელთა სახელით ყრილობას გადასცა მისალმება და პირობა დასდო, რომ მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეები კვლავაც იქნებიან სახელმწიფო შრომითი რეზერვების მოწინავე რაზმი.

კომკავშირის ალტაის სამხარეო კომიტეტის მდივანმა **მ. ი. ილიჩევმა** განაცხადა, რომ ალტაის კომკავშირელთა ასი ათასიანი არმია, როგორც დიდი სამამულო ომის წლებში, ისე ახლაც, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, იყო და რჩება სამხარეო პარტიული ორგანიზაციის ერთგული თანაშემწე ყველა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტაში. მხარის სამრეწველო საწარმოებში ახლა მუშაობს 2 ათასზე მეტი ახალგაზრდული ბრიგადა, ათასზე მეტი ეკონომიისა და ყაირათიანობის ახალგაზრდული საკონტროლო საგუშაგო.

განსაკუთრებით დიდია კომკავშირელთა და ახალგაზრდობის როლი სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისათვის, უხვი და მყარი მოსავლისათვის ბრძოლაში. მხარის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო ლაშქრობა სოფლის ახალგაზრდობის ფართო მასებში მიჩურინის, ვილიამსის, ტიმირიაზევის, ლისენკოს მოძღვრების პროპაგანდისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს ახალგაზრდა კოლმეურნეთა სკოლებმა, რომლებიც დაამთავრა 23 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

შემდეგ ამხ. ილიჩევი ლაპარაკობს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობაზე სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში.

ამხ. ილიჩევის გამოსვლის შემდეგ შეტანილ იქნა წინადადება არჩეულ იქნას კომისია 49 კაცის შემადგენლობით კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო რეზოლუციის შესამუშავებლად. ყრილობა ერთხმად იღებს წინადადებას და ირჩევს კომისიას რეზოლუციის შესამუშავებლად.

ამით მთავრდება ყრილობის დილის სხდომა.

31 მარტის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომის გახსნისას თავმჯდომარე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი აცხადებს, რომ საკავშირო ალკკ XI ყრილობის სახელზე მიღებულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

დელეგატები ერთსულოვნად დგებიან ფეხზე და კრემლის დიდ სასახლეში გაისმის ხანგრძლივი მქუხარე ოვაცია და „ვაშას“ შეძახილები, სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

— ამხანაგ სტალინს ჩვენი კომკავშირული ვაშა!

— დიდება დიდ სტალინს!

დელეგატები ფეხზე მდგომნი ისმენენ კომკავშირის XI ყრილობისადმი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმების გულში ჩამწვდომ სიტყვებს. კვლავ ძლიერდება და ფართოვდება მქუხარე ტაში, დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის მისასალმებელი შეძახილები ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის პატივსაცემად. ყრილობის დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საღამოს სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდა კომკავშირის ჩკალოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ქ. რაზონი.**

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება ლენინურ-სტალინური კომკავშირის მოღვაწეობის შესანიშნავი შეფასებაა, — ამბობს იგი. — ყოველ ღონეს, ცოდნას, ენერგიას გამოვიყენებთ, ყველაფერს, რაც კი მოგვეპოვება, იმას მოვახმართ, რომ წმიდად შევასრულოთ ლენინისა და სტალინის მითითებანი, ვიყოთ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში, წინ გავუძღვეთ მსოფლიოს ახალგაზრდობის მთელ პროგრესულ ძალებს. (ტაში).

ამხ. რაზონი მოუთხრობს სხდომას, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ჩკალოვის ოლქის ახალგაზრდობა ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმას. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს 1952 წლისათვის შექმნან ჩკალოვ-ილეკის მინდორსაცავი ტყის ზოლი. ამჟამად ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია აგრო-სატყეო-სამელიორაციო საქმის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების ფართო ქსელი.

შრომითი რეზერვების მინისტრი ამხ. **ვ. პ. პრონინი** ამბობს, რომ უკანასკნელი წლების დიდი მოვლენა იყო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნა, რომლებიც მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის კადრების შევსების წყარო გახდნენ.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების სკოლებმა და სასწავლებლებმა თავიანთი არსებობის რვა წლის მანძილზე მილიონობით კვალიფიციური მუშა მოამზადეს ახალგაზრდობიდან. შრომითი რეზერვების სახელოსნო სასწავლებლებისა და სკოლების ათასობით კურსდამთავრებული ამჟამად მუშაობს ბრიგადირად, ოსტატად, საამქროს უფროსად, აგრეთვე საწარმოს და მშენებლობის დირექტორად.

მინისტრი ეხება შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს.

ამხ. პრონინი მოუწოდებს კომკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომი აღმავლობის საკითხებისადმი, იბრძოლონ შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში კომკავშირულ ორგანიზაციათა შემდგომი განმტკიცებისა და ზრდისათვის.

ყრილობის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან კრასნოიარსკის მხარის კოლმეურნეობა „ზარიას“ კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ამხ. **ვ. ნ. ტოლსტიკოვას** გამოჩენას ტრიბუნაზე. იგი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს, რომ ახალგაზრდა ციმბირელები კრასნოიარსკის მხარის ყველა მშრომელთან ერთად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. დარბაზში ერთსულოვანი ტაში გაისმის, როცა ამხ. ტოლსტიკოვა ამბობს, რომ მხარის 26 კომკავშირელიდან — სოციალისტური შრომის გმირებიდან ხუთი ყრილობის დელეგატია და აქ, დარბაზში იმყოფება.

შემდეგ იგი უამბობს სხდომას, თუ როგორ იბრძვის მისი რგოლი უფრო უხვი მოსავლის მოსაყვანად.

ამხ. ტოლსტიკოვა აღნიშნავს, რომ საჭიროა ახალგაზრდობაში გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

— ჩვენ მეტი მხატვრული ლიტერატურა გვესაჭიროება, — ამბობს იგი. — ჩვენმა მწერლებმა და პოეტებმა მეტი უნდა წერონ ჩვენს მშვენიერ მხარესა და შესანიშნავ ხალხზე — ციმბირელებზე, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე შრომითი გმირობის მაგალითს იძლევიან.

ყრილობის დელეგატმა ამხ. **ა. ვ. სოფრონოვმა** საბჭოთა მწერლების სახელით მხურვალე სალამი გადასცა საკავშირო ალკკ XI ყრილობას. ილაპარაკა რა საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებზე, რაც მიღწეულია პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობის მეოხებით, ამხ. სოფრონოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მწერალთა რაზმს ახალი ახალგაზრდა ძალები შეემატა. ლიტერატურაში მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ცხოვრების პრაქტიკული ცოდნა — მუშები, ინჟინრები, ახალგაზრდა მეცნიერები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეთაურები. ამხ. სოფრონოვმა დაასახელა მწერლები, რომლებმაც თავიანთი ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებებით მკითხველთა მადლობა და სიყვარული მოიხვეჭეს და აღნიშნა, რომ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ სრულად ვერ ასახავს შესანიშნავ საბჭოთა სინამდვილეს, საბჭოთა ადამიანის გმირულ თავდადებულ შემოქმედებით შრომას, მის, როგორც კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მშენებლის, საუცხოო თვისებებს. ჩვენი სტალინური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანის ჩვენება საბჭოთა მწერლებისა და დრამატურგების საპატიო ამოცანაა.

ამხ. სოფრონოვი თავის სიტყვას ამთავრებს საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის — ლენინურ-სტალინური კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსით.

თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. ყურბანოვმა** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი კულტურის საკითხებს მიუძღვნა. მან მოაგონა სხდომას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე თურქმენეთში მოსახლეობის 99,3 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო; ამჟამად რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარი არ მოიპოვება. ახალგაზრდობისათვის შექმნილია განათლების მიღების ყველა პირობა. კომკავშირი კულტურის აქტიური გამტარებელია.

დასასრულ ამხ. ყურბანოვი ამბობს, თუ რა ენერგიულ მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობა მიწისძვრით დაზარალებულ რესპუბლიკის დედაქალაქ აშხაბადის აღდგენაში.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს გენერალ-ლეიტენანტის საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. **ნ. პ. კამანინის** სიტყვა, რომელმაც ილაპარაკა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებების ამოცანებზე.

დარბაზში ტაში გაისმა, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სიტყვა ეძლევა ყრილობის დელეგატს — ციმბირელ მონადირეს ამხ. **ულიანა ბაბინას** (ნოვოსიბირსკის ოლქის კოჩკის რაიონი)

ჩვენ, ციმბირელი მონადირეები, ვეხმარებით სამშობლოს ბეწვეულის მოპოვებით. ნადირობა ისეთი სპორტია, რომელიც აწრთობს, გაბედულს, ამტანს ხდის ადამიანს. მონადირეები მარჯვე მსროლელები არიან. ყოველ ჭაბუკსა და ქალიშვილს უნდა უყვარდეს ნადირობა. ნადირობა ხომ რკინისებურ ნებისყოფას უვითარებს ადამიანს. ჩვენი ახალგაზრდობა ჯანსაღი და გამოწრთობილი უნდა იყოს!

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ იტალიის დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენლის ამხ. **ენრიკო ბერლინგუერის** გამოსვლას, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობას.

სხდომის დასასრულ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ყრილობის სახელზე კვლავ მოდის მისასალმებელი დეპეშები. მისასალმებელი დეპეშები მიღებულია ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან — შვეციის დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანიზაციებისაგან, სოფიის შრომითი ბრიგადისაგან (ბულგარეთი), სლოვაკიიდან (ქ. ბრნო) და სხვ. (საკდესი).

საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატთა ჯგუფი საქართველოს სს რესპუბლიკიდან. მარცხნიდან მარჯვნივ—სოციალისტური შრომის გმირი გუდაუთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ზ. ბალათელია, სოციალისტური შრომის გმირი ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ბ. კონცელიძე, გორის რაიონის ქვეშე ხვითის კოლმეურნეობის მერგოლური თ. მეგრელიშვილი, ქალაქ თბილისის ქალთა მე-8 სკოლის მე-11 კლასის მოწაფე მ. სოხაძე და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი ა. ბეთანელი.

ფოტო ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ

31 მარტს საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავისი ელჩების მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და კანადის მთავრობებს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების შესახებ გაუგზავნა ქვემოთ მოყვანილი მემორანდუმი:

„18 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ტექსტი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებისა, რომლის ხელმოწერასაც უახლოეს დღეებში აპირებენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდის, ლუქსემბურგისა და კანადის მთავრობები.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ტექსტი მთლიანად ადასტურებს იმას, რაც ნათქვამი იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 29 იანვრის განცხადებაში, რომელიც აქვეა დართული, როგორც ამ ხელშეკრულების აგრესიული მიზნების, ისე იმის შესახებ, რომ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს და ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ვალდებულებებს, რომლებიც მათ სხვა ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით იკისრეს. განცხადება, რასაც ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება შეიცავს მისი თავდაცვითი მნიშვნელობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების აღიარების შესახებ, ისეთ მიზნებს ემსახურება, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა არც ხელშეკრულების მონაწილეთა თავდაცვის ამოცანებთან და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების ნამდვილ აღიარებასთან.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილენი არიან ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ამრიგად, ხელშეკრულება მიმართული არ არის არც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, არც დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ და არც საფრანგეთის წინააღმდეგ. დიდ სახელმწიფოთაგან მხოლოდ საბჭოთა კავშირია გამორიცხული ამ ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, რაც შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ეს ხელშეკრულება მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რომ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ამას გარკვევით აღნიშნავდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ოფიციალური წარმომადგენლები.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების დადების გასამართლებლად იმოწმებენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირს დადებული აქვს თავდაცვითი ხელშეკრულებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. მაგრამ ეს დამოწმება სრულიად უსაფუძვლოა.

საბჭოთა კავშირის ყველა ხელშეკრულებას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი ხასიათი აქვს და მიმართულია მხოლოდ გერმანიის აგრესიის განმეორების შესაძლებლობის წინააღმდეგ, რომლის საშიშროებასაც ვერ დაივიწყებს ვერც ერთი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ამასთან სრულიად გამორიცხულია შესაძლებლობა ისინი განმარტებულ იქნან, როგორც ისეთი ხელშეკრულებანი, რომლებიც რამენაირად მიმართული არიან უკანასკნელ ომში სსრ კავშირის მოკავშირეთა წინააღმდეგ, შეერთებული შტატების, ან დიდი ბრიტანეთის, ან საფრანგეთის წინააღმდეგ.

უფრო მეტიც, სსრ კავშირს ასეთივე ხელშეკრულებანი გერმანიის აგრესიის განმეორების წინააღმდეგ დადებული აქვს არამარტო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, არამედ აგრეთვე დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან.

ამის საწინააღმდეგოდ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება არის არა ორმხრივი, არამედ მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ქმნის სახელმწიფოთა განცალკევებულ დაჯგუფებას, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სრულიად უგულებელყოფს გერმანიის აგრესიის განმეორების შესაძლებლობას და, მაშასადამე, მიზნად არ ისახავს გერმანიის ახალი აგრესიის თავიდან აშორებას. და რამდენადაც ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალ დიდ სახელმწიფოთაგან ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობას არ იღებს მარტო სსრ კავშირი, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება განხილულ უნდა იქნას, როგორც ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია უკანასკნელ ომში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირის წინააღმდეგ,—სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილენი ახორციელებენ ისეთ ფართო სამხედრო ღონისძიებებს, რომლებიც არავითარი გზით არ შეიძლება გამართლებულ იქნას ამ ქვეყნების თავდაცვის ინტერესებით. შეერთებული შტატების მიერ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან თანამშრომლობით, ახლანდელ მშვიდობიან ვითარებაში, ფართო სამხედრო ღონისძიებათა განხორციელება, მათ შორის ყველა გვარეობის შეიარაღებული ძალების გადიდება, ატომური იარაღის გამოყენების გეგმის შემუშავება, პირწმინდა შეტევითი იარაღის—ატომური ბომბების მარაგის დაგროვება, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების ქსელის მშენებლობა და სხვ.—სრულიად არ არის თავდაცვითი ხასიათის ღონისძიება.

ინგლის-ამერიკის გაერთიანებული სამხედრო შტაბის შენარჩუნება ვაშინგტონში, რომელიც მოწყობილია მეორე მსოფლიო ომის დროს, ამას წინათ ფონტენბლოში (საფრანგეთი) ეგრეთწოდებული დასავლეთი კავშირის სამხედრო შტაბის შექმნა, აგრეთვე განზრახვა დაუყოვნებლივ შეიქმნას თავდაცვის კომიტეტი, რომელიც გათვალისწინებულია ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებით, სრულიადაც არ არის ხელშეკრულების მონაწილეთა მშვიდობისმოყვარე ან თავდაცვითი მიზნების მაჩვენებელი, არამედ, მრავალ სხვა სამხედრო მზადებასთან ერთად, ხელს უწყობს შეშფოთების გაძლიერებას და ომის ისტერიის გაღვივებას, რითაც ესოდენ დაინტერესებული არიან ახალი ომის ყოველგვარი გამჩაღებელნი.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება განკუთვნილია იმ სახელმწიფოთა დასაშინებლად, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ იმ სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის დაჯგუფების დიქტატს, რომელნიც მსოფლიო ბატონობას იჩემებენ, თუმცა ასეთი დაჩემების უსაფუძვლობა კვლავ დაადასტურა მეორე მსოფლიო ომმა, რაც დამთავრდა ფაშისტური გერმანიის განადგურებით, რომელიც აგრეთვე მსოფლიო ბატონობას იჩემებდა.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში მონაწილეობენ ისეთი ქვეყნებიც, რომელთა მთავრობებს იმედი აქვთ ხელი მოითბონ ამ ხელშეკრულების უფრო მდიდარ მონაწილეთა ხარჯზე და ადგენენ სხვადასხვა გეგმას ახალი კრედიტებისა და სხვა მატერიალური სარგებლობის მიღების შესახებ.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ დავინახოთ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ანტისაბჭოთა მოტივების უნიადაგობა, რამდენადაც ყველამ იცის, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს თავს დაესხას ვინმეს და არაფრით არ ემუქრება არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც დიდ ბრიტანეთს, არც საფრანგეთსა და ხელშეკრულების არც სხვა მონაწილეს.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების დადებას და სახელმწიფოთა ახალი დაჯგუფების შექმნას ასაბუთებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისუსტით. მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება არ ემსახურება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცების საქმეს, არამედ, პირიქით, ძირს უთხრის ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლებს, ვინაიდან სახელმწიფოთა აღნიშნული დაჯგუფების შექმნა არა თუ არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, არამედ კიდეც ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის წესდებას. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილენი იმოწმებენ იმ გარემოებას, რომ ეს ხელშეკრულება თითქოს არის რეგიონალური შეთანხმება, რაც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლით. მაგრამ ასეთი დამოწმება სრულიად უსაფუძვლო და უნიადაგოა. ამ ხელშეკრულების არავითარ რეგიონალურ ხასიათზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რამდენადაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირი მოიცავს დედამიწის ორივე ნახევარსფეროში მდებარე სახელმწიფოებს და მიზნად არ ისახავს ამა თუ იმ რეგიონალური საკითხის მოწესრიგებას. ამას ისიც ადასტურებს, რომ, როგორც უკვე გამოცხადებულია, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არაწევრი სახელმწიფოები (იტალია, პორტუგალია), თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლს მხედველობაში აქვს რეგიონალურ შეთანხმებათა დადება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა შორის.

სახელმწიფოთა ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფების შექმნა არ შეიძლება გამართლებულ იქნას აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი წევრის ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებით, წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. საკმაოა ითქვას, რომ ასეთი უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძალით შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ორგანიზაციის წევრზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. მაშინ როცა, როგორც ყველასათვის ცნობილია, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც დიდ ბრიტანეთს, არც საფრანგეთს, არც პაქტის სხვა მონაწილეებს არავითარი შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე არ მოელით.

ცხადია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე და 52-ე მუხლებზე დამოწმება უსაფუძვლოა და განკუთვნილია მხოლოდ იმისათვის, რომ მიჩქმალონ სახელმწიფოთა იმ სამხედრო დაჯგუფების ნამდვილი აგრესიული მიზნები, რომელიც ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების დადებით იქმნება.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება და, უწინარეს ყოვლისა, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლი პირდაპირ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. წესდების 53-ე მუხლის ტექსტში, სადაც ლაპარაკია იძულებითი მოქმედებაზე რეგიონალურ შეთანხმებათა შესაბამისად, პირდაპირ ნათქვამია, რომ „არავითარი იძულებითი მოქმედება არ დაიწყება, ამ რეგიონალურ შეთანხმებათა ძალით ან რეგიონალური ორგანოების მიერ, თუ უშიშროების საბჭოს რწმუნება არ იქნა“, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია ყოფილი მტრული სახელმწიფოების მიმართ. მიუხედავად ამისა, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენებას უშიშროების საბჭოსაგან რაიმე რწმუნების მიუღებლად. ამრიგად ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება კიდეც რომ მივიჩნიოთ რეგიონალურ შეთანხმებად, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ უსაფუძვლოა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებით იმის დამოწმება, რომ იგი აღიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე საბჭოთა მთავრობას გამოჰყავს შემდეგი დასკვნები:

1. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებას საერთო არა აქვს რა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მიზნებთან, რომლებსაც არავინ არ ემუქრება და რომლებზე თავდასხმასაც არავინ არ აპირებს. პირიქით, ამ ხელშეკრულებას აქვს აშკარად აგრესიული ხასიათი და იგი მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, რასაც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლებიც კი არ მალავენ თავიანთ საჯარო გამოსვლებში.

2. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება არა თუ ხელს არ უწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის მოვალეობას შეადგენს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს და ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

3. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1942 წელს დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც ორივე სახელმწიფომ იკისრა ითანამშრომლოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების საქმეში და „არ შეკრას არავითარი კავშირი და მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ კოალიციაში, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარის წინააღმდეგ“.

4. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1944 წელს დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც ორივე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება ითანამშრომლოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების საქმეში და „არ შეკრას არავითარი კავშირი და მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ კოალიციაში, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარის წინააღმდეგ“.

5. ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის იმ შეთანხმებებს, რომლებიც დადებულია იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე, აგრეთვე ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების სხვა თათბირებზე, რომლებიც შედგა როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ და რომელთა თანახმადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირმა, ვალდებულება იკისრეს ითანამშრომლონ საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში და ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას. (საკდესი).

მნიშვნელოვანი ეტაპი ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე ტომის ქართულად გამოცემის გამო)

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მეორე ტომში შესულია 1895-1897 წლების ნაწარმოებნი. ისინი ასახავენ ლენინის მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპს, რაც მიმართული იყო ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის შექმნისაკენ.

ამ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა რუსეთში მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რაც მჭიდროთ იყო დაკავშირებული რკინიგზების მშენებლობის ფართოდ გაშლასთან. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს ფაბრიკა-ქარხნებში, სამთო მრეწველობასა და რკინიგზებზე მუშათა რიცხვმა 2.792 ათასს მიაღწია.

„ეს იყო თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა ბატონყმური პერიოდის ფაბრიკების მუშებისაგან და წვრილი, კუსტარული და ყოველგვარი სხვა მრეწველობის მუშებისაგან, როგორც მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში შემჭიდროებით, ისე თავისი საბრძოლო რევოლუციური თვისებებით“. (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 7-8).

სამრეწველო აღმავლობის, მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდისა და რევოლუციური შეგნებულობის ამაღლების შედეგად ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობაც.

1893 წელს პეტერბურგს ჩავიდა ვ. ი. ლენინი და სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის მარქსისტებს. 1895 წლის შემოდგომაზე ლენინმა პეტერბურგის მუშათა მარქსისტული წრეები გააერთიანა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“, რომელიც რუსეთში პირველი რევოლუციური პროლეტარული პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა. ლენინის ხელმძღვანელობით ეს „კავშირი“ სათავეში ჩაუდგა აღმავლობის გზაზე მდგომ მუშათა მოძრაობას მთელ რუსეთში.

ეს იყო პერიოდი, როდესაც ხორციელდებოდა სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, მუშათა ვიწრო წრეებში მარქსიზმის პროპაგანდის ადგილს იკავებდა მასობრივი პოლიტიკური აგიტაცია და მზადდებოდა ცალცალკე არსებული მარქსისტული წრეების ერთ პარტიად გაერთიანება.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე ტომში შესულმა ნაწარმოებებმა, რომელთა უმეტესობაც ლენინის პატიმრობის და გადასახლების პერიოდში დაიწერა, უდიდესი დამრაზმავი და წარმმართველი როლი შეასრულეს მარქსისტული რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის, მათი ერთ პარტიად გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში. ისინი მძლავრ თეორიულ იარაღს წარმოადგენდნენ მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ნაწარმოებნი მრავალ სხვადასხვა საკითხს ეხებიან, მაგრამ ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის მომზადების ინტერესებით არიან ნაკარნახევი.

* * *

მუშათა ვიწრო წრეებში მარქსიზმის პროპაგანდიდან ფართო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა მუშებისათვის პოპულარული ლიტერატურის გამოცემას. ლენინი პირადად ჰკიდებს ხელს ასეთი ხასიათის ლიტერატურის შექმნას. თხზულებათა მეორე ტომში შესულ ნაწარმოებებში — „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ“, „ახალი საფაბრიკო კანონი“, „ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და ქალებს“, „მეფის მთავრობას“, „რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?“ — ვ. ი. ლენინი მარტივი, გასაგები ენით განუმარტავს მუშებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსს, ცხადყოფს მუშათა კლასის სილატაკის, უუფლებობის და ჩაგვრის მიზეზებს, სახავს მისი განთავისუფლების გზებს.

ახასიათებს რა 1897 წლის 2 ივნისს გამოცემულ კანონს ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაო დღის შემცირებისა და დასვენების დღის დაწესების შესახებ, ვ. ი. ლენინი ამხილებს ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი მეფის მთავრობის ხრიკებს — „მუშათა მდგომარეობა ახალი კანონის შემოღებით არათუ გაუმჯობესდება, არამედ გაუარესდება კიდეც“ (ლენინი, ტ. II, გვ. 367). ბროშურის დამატებაში ლენინი წერდა: „კაპიტალისტთა ურიცხვმა დამქაშებმა, ფინანსთა სამინისტროში რომ სხედან, ისე განავითარეს კანონი, რომ მეფაბრიკეს უფლება აქვს შინაგანრიგის წესებში შეიტანოს ყოველგვარი ზედმეტ სამუშაოთა მოთხოვნა, ხოლო რაკი ასეთი მოთხოვნა შინაგანრიგის წესრიგშია შეტანილი, მთელი კანონი ბათილდება და ყოველივე ძველებურად რჩება“ (გვ. 383).

ვ. ი. ლენინი მოუწოდებს მუშებს რევოლუციური ბრძოლისაკენ: „აქედან მუშებს თვითონვე შეუძლიათ დაინახონ, რას უნდა მოელოდნენ პოლიციური მთავრობის მოხელეებისაგან. იმისათვის, რომ მოიპოვონ 8 საათის სამუშაო დღე და მიაღწიონ ზედმეტ საათებში მუშაობის სავსებით აკრძალვას, რუს მუშებს კიდევ დიდი და მედგარი ბრძოლა მოელით“ (გვ. 386).

სტატიაში — „რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?“ ვ. ი. ლენინი ამჟღავნებს მეფის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდა მუშები. ხაზგასმით აღნიშნავს რა ცოდნის, მეცნიერების მნიშვნელობას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვ. ი. ლენინი სტატიას ამთავრებს მოწოდებით: „მუშებო! თქვენ ხედავთ, როგორ სიკვდილსავით ეშინიათ ჩვენს მინისტრებს იმისი, რომ ცოდნა და მუშათა კლასი შეერთდნენ! მაშ დაანახვეთ ყველას, რომ ვერავითარი ძალა ვერ წაართმევს მუშებს შეგნებას! ცოდნის გარეშე მუშები უმწეონი არიან, ხოლო ცოდნით აღჭურვილნი — ძალას წარმოადგენენ!“ (გვ. 97).

ლენინის ზემოხსენებულმა საგიტაციო ხასიათის ნაწარმოებებმა უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთში მუშათა მოძრაობის აღმავლობის საქმეში.

* * *

მეორე ტომში შესულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი რუსი მარქსისტების საპროგრამო, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების დამუშავებისადმია მიძღვნილი.

ამ ნაწარმოებთ ეკუთვნიან: „ფრიდრიხ ენგელსი“, „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“, „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“.

მეცნიერული კომუნიზმის იდეების დაცვის და მათი შემოქმედებითი განვითარების საუკეთესო ნიმუშია ვ. ი. ლენინის ნაწარმოები: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“, რომელიც ვ. ი. ლენინმა 1895-1896 წლებში დაწერა საპყრობილეში. ამ ნაწარმოებში მან მაშინდელი რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე განსაკუთრებული სიზუსტით და რევოლუციური თანმიმდევრობით ჩამოაყალიბა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მიზნები, თვითმპყრობელობის დამხობისა და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების ამოცანები, ახალი სოციალისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის პროგრამა. აქვე ლენინი აყალიბებს რუსი რევოლუციონერი მარქსისტების აგრარული პროგრამის ძირითად მოთხოვნებს.

უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს ლენინის მიერ 1897 წელს გადასახლებაში დაწერილ ბროშურას — „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“. ამ ნაშრომში დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია განხილული რუსეთის ჭეშმარიტად რევოლუციური პროლეტარული პარტიის ორნაირი ამოცანა:

1) სოციალისტური ამოცანა (კაპიტალისტთა წინააღმდეგ ბრძოლა, ექსპლოატატორული კლასობრივი საზოგადოების დანგრევა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია) და

2) საერთო დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება (აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა).

ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში განაზოგადა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირის“ გამოცდილება, დაწვრილებით დაახასიათა პროპაგანდისა და აგიტაციის თავისებურებანი მოცემულ პერიოდში, მათი მიზნები, შინაარსი და ფორმები, ჩამოაყალიბა ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები და ტაქტიკა. ლენინმა ცხადყო, რომ როგორც სოციალისტური, ისე დემოკრატიული მოღვაწეობის ამოცანათა გადაჭრის აუცილებელი პირობაა მჭიდროდ შეკავშირებული მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა. ეს ორგანიზაციები თავიანთ მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდნენ მოწინავე რევოლუციური თეორიით, რადგან რევოლუციური თეორიის გარეშე არ არსებობს რევოლუციური მოძრაობა.

სოციალ-დემოკრატია, — განაგრძობდა შემდეგ ვ. ი. ლენინი, — მხარს უნდა უჭერდეს ყველა პროგრესულ მოძრაობას, რომელიც დემოკრატიული გარდაქმნებისთვის იბრძვის, მაგრამ მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს მუშათა კლასის საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ინტერესები. ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში განსაკუთრებული სიძლიერით ჩამოაყალიბა თეზისი მუშათა კლასის მოწინავე, ხელმძღვანელი როლის შესახებ მომავალ — ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

სტატიაში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“, რომელიც 1897 წლის ბოლოს არის დაწერილი, ვ. ი. ლენინი აცამტვერებს მარქსიზმის მტრის, მიხაილოვსკის, მიერ წამოყენებულ ცილისწამებლურ ბრალდებას, თითქოს რუსი მარქსისტები სავსებით წყვეტენ კავშირს 60-70-იანი წლების რევოლუციური დემოკრატების მემკვიდრეობასთან. ლენინი მკვეთრ ზღვარს ავლებს 60-70-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატ-განმანათლებლებსა და 90-იანი წლების ლიბერალურ ნაროდნიკობას შორის. რუსი სოციალ-დემოკრატები, დიდი რევოლუციური დემოკრატის ჩერნიშევსკის და მისი პლეადის იდეების ჭეშმარიტი მემკვიდრეები არიან. ამასთანავე სოციალ-დემოკრატია უფრო თანმიმდევრულად და ღრმად არკვევს არსებული წყობილების წინააღმდეგობებს, გვიჩვენებს იმ ახალ რევოლუციურ ძალას, რომელსაც შეუძლია მოსპოს კაპიტალიზმი და განახორციელოს სოციალიზმი.

ლენინი ასაბუთებს, რომ 90-იანი წლების ლიბერალურმა ნაროდნიკებმა სავსებით გაწყვიტეს კავშირი 60-70-იანი წლების რევოლუციური დემოკრატების მოძღვრებასთან, გადაიქცნენ რეაქციულ კასტად. სწორედ მათი იდეების მემკვიდრეობაზე ამბობდა უარს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია.

* * *

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიურ შრომებს — „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და „შინამრეწველობის“ ზოგადი საკითხები“. ლენინის ამ ეკონომიურ ნაწარმოებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მაშინდელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრების გაგებისათვის და ნაროდნიკობის იდეური განადგურებისათვის.

ნაშრომში — „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისთვის“ ლენინი იძლევა ლიბერალური ნაროდნიკობის წარმომადგენლების ვორონცოვის, დანიელსონის და სხვ. შეხედულებათა გამანადგურებელ კრიტიკას. წიგნში ნაჩვენებია, რომ 90-იანი წლების რუსი ნაროდნიკების ეკონომიური თეორია წარმოადგენს საერთო ევროპული ეკონომიური რომანტიზმის ნაირსახეობას.

საერთო ევროპული ეკონომიური რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო შვეიცარიელი ეკონომისტი სისმონდი. სისმონდი ეკუთვნოდა იმ წვრილბურჟუაზიულ ეკონომისტთა რიცხვს, რომლებიც კაპიტალიზმს ზერელე, სანტიმენტალური, რეაქციულ-უტოპიური თვალსაზრისით აკრიტიკებდნენ. სისმონდი და მისი მიმდევრები ხედავდნენ მსხვილი კაპიტალისტური მანქანური ინდუსტრიის წინააღმდეგობებს, წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას და მუშათა კლასის ულმობელ ექსპლოატაციას, მაგრამ ამ სიდუხჭირიდან გამოსავალს ეძებდნენ არა რევოლუციურ წინსვლაში, არამედ ისტორიის ჩარხის უკუმობრუნებაში. სისმონდი წვრილი წარმოების თავგამოდებული მომხრე იყო. რუსი ნაროდნიკების არგუმენტაციას კაპიტალისტური წარმოების „უნიადაგობის“, შინაური ბაზრის შეკვეცის, რეალიზაციის შეუძლებლობის და სხვ., შესახებ უშუალო იდეური კავშირი ჰქონდა სისმონდის ეკონომიურ მოძღვრებასთან. როგორც სისმონდი, ისე რუსი ნაროდნიკები იხედებოდნენ წარსულისაკენ, ცდილობდნენ დაღუპვისაგან ეხსნათ წვრილი წარმოება, ან თემური მიწათმფლობელობის ნაშთები, რომლებიც მეტწილად უკვე დაშლილი იყვნენ და განვითარების მსვლელობაში ულმობლად ნადგურდებოდნენ.

ვ. ი. ლენინი დაწვრილებით ასაბუთებს, რომ სისმონდისა და მისი რუსი მიმდევრების მიერ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის როლის გაუგებლობას და წარსულის რომანტიკულ გაიდეალებას მჭიდრო კავშირი აქვს კაპიტალიზმის განვითარების შედეგად სოციალიზმის გამარჯვების წანამძღვრების შექმნის უარყოფასთან.

სისმონდის და რუს სისმონდისტებს არ შეეძლოთ (ან არ სურდათ) შეემჩნიათ, რომ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს, ერთი მხრივ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის ზრდას, საწარმოო ძალთა პროგრესს და, მეორე მხრივ, პროლეტარიატის რიცხობრივ ზრდას და მის რევოლუციურ გამობრძმედას.

სისმონდი და რუსი ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რომ წვრილ მწარმოებელთა გაღატაკება ქალაქად და სოფლად იწვევს მოხმარების ჩამორჩენას წარმოებისაგან, კაპიტალიზმის შინაგანი ბაზრის შემცირებას. ავითარებს რა კაპიტალისტური ბაზრის და რეალიზაციის შესახებ მარქსის მოძღვრებას, ვ. ი. ლენინი ცხადყოფს, რომ კაპიტალიზმის განვითარება, წვრილ მწარმოებელთა, კერძოდ გლეხობის გაჩანაგება და დაქირავებულ მუშათა რიგებში მათი გადასვლა კი არ ამცირებს, კი არ ზღუდავს, არამედ, პირიქით, ადიდებს და აფართოებს კაპიტალისტურ ბაზარს.

„.... თეორიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ“ (ლაპარაკია მარქსიზმზე, ვ. მ.) ზუსტად დაადგინა სწორედ ის, რის უარყოფაც უნდოდა სისმონდის, სახელდობრ: რომ საერთოდ კაპიტალიზმისა და კერძოდ ფერმერობის განვითარება კი არ ამცირებს, არამედ ქმნის შინაურ ბაზარს. კაპიტალიზმის განვითარება სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს და რამდენადაც საოჯახო წარმოება ადგილს უთმობს გასაყიდად წარმოებას, ხოლო შინამრეწველი ადგილს უთმობს ფაბრიკას, — იქმნება ბაზარი კაპიტალისათვის (გვ. 155-156).

ვ. ი. ლენინი აქარწყლებს სისმონდისა და რუსი სისმონდისტების იმ ყალბ დებულებასაც, თითქოს კაპიტალიზმის პირობებში წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგების გამო ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია შეუძლებელი იყოს საგარეო ბაზრის გარეშე. ლენინი ასაბუთებს, რომ სისმონდის ეს მტკიცება გამომდინარეობს ნაციონალური შემოსავლისა და კაპიტალის შესახებ არასწორი შეხედულებებიდან. ნამდვილად კი შინაურ ბაზარზე რეალიზაციის შესაძლებლობა მარტო პირადი შემოსავლისა და პირადი მოხმარების სიდიდით როდი განისაზღვრება. სისმონდის და რუს სისმონდისტებს არ ესმოდათ, რომ ზედმეტი ღირებულების დიდი ნაწილი კაპიტალად იქცევა და მისი შესაბამისი პროდუქცია არა პირადი, არამედ საწარმოო მოხმარებისათვის არის განკუთვნილი, მაშასადამე, გარკვეული ზომით წარმოება თვით უქმნის ბაზარს თავის თავს და ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის სიძნელეებს გარკვეულ დრომდე ანელებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ეკონომიური კრიზისების სისმონდისეული თეორიის კრიტიკა, რაც ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში მოგვცა. ეს ინტერესი განსაკუთრებით ძლიერდება ამჟამად, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ახალი კატასტროფებისა და პერიოდული კრიზისის წანამძღვრების მომწიფების აშკარა ნიშნებს გვიჩვენებს, ხოლო ბურჟუაზიის დაქირავებული კალმოსნები თხზავენ სხვადასხვა პროექტებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება კრიზისის თავიდან აცილება ისე, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ხელუხლებელი დარჩეს.

სისმონდის და რუსი სისმონდისტების აზრით კაპიტალისტური ეკონომიური კრიზისების მიზეზები უნდა ვეძებოთ არა წარმოების წესში, მის ძირითად წინააღმდეგობაში, არამედ წარმოებისაგან მოხმარების ჩამორჩენაში. ვ. ი. ლენინი მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებზე: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „კაპიტალი“, „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ და სხვ. დაყრდნობით ამხილებს რუს სისმონდისტთა შეხედულებების სიყალბეს და მწყობრად ავითარებს კაპიტალისტური კრიზისების თანმიმდევარ მეცნიერულ თეორიას. კრიზისების ძირითადი მიზეზი, ამბობდა ვ. ი. ლენინი, — „კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა, — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის და კერძოკაპიტალისტური მითვისების წინააღმდეგობა. მოხმარების ჩამორჩენა წარმოებისაგან, მეორადი მოვლენაა. კრიზისების მოსპობა არავითარი ნაწილობრივი ზომებით და კაპიტალიზმის განკურნების რეცეპტებით არ შეიძლება. ვ. ი. ლენინმა ამ შესანიშნავ ნაშრომში გვიჩვენა, რომ კრიზისების მოსპობის აუცილებელი პირობაა თვით კაპიტალისტური წარმოების წესის რევოლუციური დამხობა.

რუსი ნაროდნიკების ეკონომიურ შეხედულებათა უსაფუძვლობა და მათი მისწრაფების რეაქციულობა ნაჩვენებია აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაშრომში, რომელშიც განხილულია პერმის გუბერნიის შინამრეწველობის აღწერის ვრცელი სტატისტიკური მასალა. ეს მასალები და დასკვნები შემდეგში ვ. ი. ლენინმა ფართოდ გამოიყენა კლასიკურ ნაშრომში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელშიც დაასრულა ნაროდნიკობის იდეური განადგურება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაროდნიკობის იდეურ განადგურებაში აგრეთვე მეორე ტომში შესულ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს „გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები“, „ნაროდნიკული პროჟექტორობის მარგალიტები“, რომლებშიც გაკრიტიკებულია ნაროდნიკების (იუჟაკოვის და სხვ.) რეაქციული უტოპიური შეხედულებანი განათლების საკითხებზე.

სტატიაში ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო ვ. ი. ლენინი ამჟღავნებს ნაროდნიკ ნ. ლევიცკის მიერ დასახულ იმ ღონისძიებათა რეაქციულ-უტოპიურ არსს, რომლებსაც ვითომდა უნდა დაეხსნათ გლეხობა გაჩანაგებისაგან კაპიტალიზმის პირობებში და დაასკვნის: „ყოველივე ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს“.

* * *

ნაწარმოებები, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მეორე ტომში შევიდნენ, გვაძლევენ XIX საუკუნის დასასრულის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზს. მათ დიდი დამრაზმავი როლი შეასრულეს ახალი ტიპის ლენინურ-სტალინური პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში. ამ ტომის ქართული თარგმანის გამოსვლით მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომების დამოუკიდებლად შემსწავლელებმა. ტომში შესული ნაშრომების შესწავლა პარტიულ-საბჭოთა აქტივის, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საწინდარია.

ვ. მელქაძე

დროულად დავამთავროთ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი

შედგა პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი.

მოხსენება „1948 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შედეგებისა და 1949 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ“ გააკეთა პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. გიორგაძემ.

1948 წელს საქართველოში დაიდო 667 კოლექტიური ხელშეკრულება. ახლა ყველგან დამთავრდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა მასობრივი შემოწმება. მასში მონაწილეობა მიიღო 12 ათასზე მეტმა მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა და მოსამსახურემ. შემოწმებისა და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობაში შემოტანილ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება, მიმართული საწარმოთა მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ახალი შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ. კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა მტკიცედ შესრულების მაგალითი გვიჩვენეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა, კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ, კასპის ცემენტის ქარხანამ და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა. მაგრამ როგორც რესპუბლიკის ცალკეულ საწარმოებში ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისას ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულება გაუნაღდებელი დარჩა.

წელს საქართველოში დადებულ უნდა იქნას 810 კოლექტიური ხელშეკრულება. აქედან 23 მარტისთვის დადებულია 360-ზე მეტი ხელშეკრულება. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია მაღალ დონეზე და მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. კოლექტიური ხელშეკრულებანი შეიცავენ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულების, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, წარმოების ხარჯების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა კონკრეტულ ვალდებულებებს. სერიოზული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობის საკითხებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობას, მასობრივი ფიზკულტურის განვითარებას. ზუსტად განსაზღვრულია ვალდებულებანი შრომის პირობების შემდგომი გაჯანსაღების დარგში. ბევრი საწარმოს კოლექტივი უკვე საქმით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან როდი გაითვალისწინეს გასული წლის შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს. საქართველოს გუმბრინისა და ბარიტის საწარმოებში, თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტები შეიცავდნენ არაკონკრეტულ, ბუნდოვან ვალდებულებებს. კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, სამიწათმოქმედო ორგანოებისა და მტს-ების მუშაკთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ოპერატიული დახმარება ვერ გაუწიეს ძირეულ პროფორგანიზაციებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებაში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას აქამდე არ შესდგომიან სამგორწყალმშენი, კოლხიდმშენი, თბილისის ელექტრომექანიკური ქარხანა, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო საწარმოები, გზათა მთავარი სამმართველოს, გზატკეცილების სამმართველოსა და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა იყოს მძლავრი, ქმედითი საშუალება მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახულია საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ამხ. გიორგაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში ფეიქართა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კ. ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ 1948 წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ურთიერთვალდებულებათა შესრულებამ უზრუნველყო საფეიქრო მრეწველობის საწარმოების მიერ წლიური საწარმოო გეგმის 106 პროცენტით განაღდება. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ფეიქრებმა გასულ წელს 12-ჯერ მოიპოვეს პირველობა. ამხ. ცაგარეიშვილმა გააკრიტიკა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომელმაც გასულ წელს ვერ უზრუნველყო ზოგიერთი საწარმოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობების რემონტი, და დამსწრეთ უამბო ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. სტატნიკოვმა ილაპარაკა საწარმოში ახალი ხელშეკრულების დადებაზე. საბრუნავი სახსრების მიმოქცევა ქარხანაში ჩქარდება 10 დღით. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისაგან ვარაუდით მიღებულ უნდა იქნას 3,5 მილიონი მანეთი ეკონომია. კოლექტიურ ხელშეკრულებაში დიდი ყურადღება ექცევა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს. დირექციამ იკისრა ვალდებულება მისცეს წლის დამლევს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს 6 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ახალი საბინაო ფართობი. მარტო საბინაო ფონდის რემონტსა და მუშათა დაბის კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 800 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ამხ. მ. მემარნიშვილი თავის გამოსვლაში შეჩერდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობაზე. მან აღნიშნა, რომ კომუნალური საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოებში და მშენებლობებზე. კომიტეტი საჭირო ყურადღებას არ აქცევდა უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის საკითხებს.

პლენუმზე გამოვიდნენ თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველი ამხ. ნ. მგელაძე, სოციალისტური შრომის გმირი ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის წარჩინებული მაღაროელი ამხ. პ. ჭელიშვილი, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის სტახანოველი ამხ. ს. ფეტოსოვა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალი ამხ. გ. სხირტლაძე, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სტახანოველი ამხ. ქ. შავგულიძე და ქუთაისის ავტოქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ს. აბულაძე, რომლებმაც დამსწრეთ უამბეს, თუ როგორ შესრულდა მათ საწარმოებში შარშანდელი კოლექტიური ხელშეკრულებანი და როგორ მიმდინარეობს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ვ. პაატაშვილი, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. ჯაბუა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ი. ართმელაძე, სამკერვალო-სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ნანიტაშვილი, ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველი ამხ. მ. სარჯველაძე, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მმართველი ამხ. ბ. გუჯეჯიანი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ქ. ბახტაძე, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. შ. ვაშაკიძე, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. იმედაძე, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. გეგეშიძე, სამიწათმოქმედო ორგანოებისა და მტს-ების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. კალანდაძე.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოპლამაზაშვილმა, რომელმაც შეაჯამა პლენუმის მუშაობა და ილაპარაკა უახლოეს ამოცანებზე, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილება (საქინფორმი).

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა გაითვალისწინა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა მიმდინარე წლის გეგმა შეასრულოს დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის, საბრუნავი თანხების ერთჯერადი მიმოქცევის პერიოდი დაიყვანოს 150 დღემდე, ნაცვლად 177 დღისა, და ამით სახელმწიფოს გაუთავისუფლოს 1.077 ათასი მანეთი.

ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად მთავარი ყურადღება ექცევა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ნედლეულით რეგულარული მომარაგების უზრუნველყოფას და საწყობებში მატერიალურ ფასეულობათა შემცირებას.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმკომბინატის, მაუდის ფაბრიკის და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლონ 7 მილიონამდე მანეთი.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მშვიდობის დაცვისათვის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე

ბუქარესტი, 30 მარტი. (საკდესი). მშვიდობის დაცვისათვის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე, რომელიც გუშინ გაიხსნა ბუქარესტში, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის, საბერძნეთის, გერმანიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების კულტურის მოღვაწეთა წარმომადგენლებმა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა მარსელ ჩიიარმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ფრანგ ხალხს არა სურს იყოს საზარბაზნე ხორცი იმპერიალისტთა საამებლად. „ხალხის ეს გადაწყვეტილება,—თქვა მან,—თავის სიტყვაში გამოხატა მორის ტორეზმა. ჩვენ არასოდეს არ ვიბრძოლებთ წინააღმდეგ მშვიდობის ბანაკისა—მისი სახელოვანი ბურჯის საბჭოთა კავშირისა, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობს".

პოეტმა ემე სეზერმა (მარტინიკის კუნძული) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, და რომ მომავალი დემოკრატიის ბანაკს ეკუთვნის.

მილტიადის პორფიროგენისმა, თავისუფალი საბერძნეთის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში თქვა: „ჩვენ გვჯერა ჩვენი გამარჯვება, ვინაიდან ჩვენი ბრძოლა სამართლიანია. თავისი უფლებებისათვის მებრძოლი ხალხი ყოველთვის ძლიერია თავის მოწინააღმდეგეებზე, ამასთან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ბრძოლას ყველა დემოკრატიული ხალხი თანაუგრძნობს".

იტალიის წარმომადგენელი ალფონსო გატო კონგრესს მიესალმა იტალიის კულტურის მოღვაწეთა სახელით და განაცხადა: „იტალია, რომელიც თქვენ მოგესალმებათ, ის იტალია როდია, რომელსაც რომის მთავრობა წარმოადგენს. ეს ის იტალიაა, რომელიც შრომობს ქარხნებში, ყანებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, სკოლებში. მილანის, ტურინის, რომის, ნეაპოლის ფაბრიკებში და მოედნებზე მილიონობით მუშამ უარყო ატლანტიკის პაქტი, დაგმო ომის გამჩაღებლები. ისინი, ვინც დღეს იტალიის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობს, იძულებული გახდნენ დარწმუნებულიყვნენ, რომ არ შეიძლება ხალხი ჩაითრიო ომში სოციალიზმის დიდი ქვეყნის—სსრ კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი რწმენითა და იმედით აპყრობს თვალს".

მოხსენება მშვიდობის დაცვის საქმეში კულტურის მოღვაწეთა როლის შესახებ გააკეთა პროფესორმა ტრაიან სავულესკუმ.

1948 წელი და 1949 წლის დასაწყისი,—თქვა მან,—აღსავსე იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. ამ მოვლენებმა დახმარება გაუწიეს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს გამოერკვია სხვადასხვა სახელმწიფოს და მთავრობის პოზიციები მშვიდობის საკითხში. იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი მთავრობანი იმავე საზიზღარ და საშიშ მეთოდებს მიმართავენ, რომლებსაც ჰიტლერი და მუსოლინი იყენებდნენ. ისინი აშკარად აიარაღებენ რეაქციონერთა ბანდებს და მათ აქეზებენ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის სულ უფრო მზარდი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები კაცობრიობის გადასარჩენად ყოველი ღონით იბრძვიან იმისათვის, რომ თავიდან აშორებულ იქნას ახალი სისხლისღვრა, ახალი მხეცობა და ნგრევა.

იმ მომენტიდან, როცა მუშათა კლასმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მართვა,—განაგრძო სავულესკუმ,—მთელი ჩვენი ბრძოლა და მთელი ჩვენი ძალები მიმართულია მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ, დემოკრატიის განმტკიცებისაკენ, ახალ საწყისებზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნისაკენ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციისაკენ, სოციალისტური საზოგადოების შექმნისაკენ. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა რუმინეთის დემოკრატიის წარმატებებზე და ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარება რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების საქმეში.

იბრძვიან რა მშვიდობისათვის,—თქვა შემდეგ პროფესორმა სავულესკუმ, — მშრომელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ქმნიან მსოფლიო ფრონტს იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში დგანან მშვიდობის საგუშაგოზე და ამხილებენ ახალი ომის გამჩაღებელთა მანევრებს. საბჭოთა ინტელიგენციის მეთაურობით, მთელი მსოფლიოს მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწენი უფრო რაზმავენ თავის რიგებს მშვიდობის, ცივილიზაციისა და კულტურის დასაცავად. ყველა დაწესებულებაში, უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და სამეცნიერო ინსტიტუტებში, ლიცეუმებში, პროფესიულ სკოლებში, პროფესიულ (ადვოკატების, ექიმების, ინჟინრების, პროფესორების) კოლეგიებში, ყველა მასობრივ (ახალგაზრდობის, ქალთა, პროფკავშირთა და სხვ.) ორგანიზაციებსა და საწარმოებში ჩვენმა ხალხმა ერთსულოვნად გამოთქვა თავისი მისწრაფება მშვიდობისადმი და გადაწყვეტილება—იბრძოლოს მისი უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ის, რაც დღემდე გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია. კულტურის მოღვაწეები თავიანთ თავს მობილიზებულად თვლიან იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასასრულ სავულესკუმ თქვა:

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა წინაშე არის ერთი გზა—ეს არის მშვიდობისაკენ, სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან თანამშრომლობისაკენ, სოციალიზმის აშენებისაკენ, ხალხის საერთო აღმავლობისაკენ, კულტურისა და ჰუმანურობის დაცვისაკენ მიმავალი გზა, და თუ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელიგენციას შესაძლებლობა აქვს აშკარად, დარაზმულად იაროს წინ ამ კეთილშობილური გზით, ამას იგი უნდა უმადლოდეს საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას და გამარჯვებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასმა თავისი პარტიის მეთაურობით მოიპოვა.

გუშინ კონგრესზე ჩამოვიდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია პოეტ ა. სურკოვისა და პროფესორ ვ. კრუჟკოვის შემადგენლობით. კონგრესის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა წარმომადგენლებს.

ა. სურკოვმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რაც დაამთავრა ლექსით, რომელიც ხალხებს მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

დაიხურა მშვიდობის დაცვისათვის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა კონგრესი

ბუქარესტი, 31 მარტი. (საკდესი). ბუქარესტში სამ დღეს გაგრძელდა მშვიდობის დაცვისათვის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა კონგრესი. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ ტრაიან სავულესკუს მოხსენების შემდეგ მშვიდობისათვის ბრძოლაში ინტელიგენციის როლის შესახებ კონგრესმა მოისმინა—არლიუსის—სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარის პროფესორ პოპესკუ-დორიანუს მოხსენება საბჭოთა კულტურის, როგორც მშვიდობის დაცვის ფაქტორის, შესახებ და რუმინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ზაქარია სტანკუს მოხსენება თემაზე „იმპერიალიზმი ხალხთა მშვიდობის, კულტურისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უბოროტესი მტერია". შემდეგ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში კულტურის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კიშინევსკიმ.

მრავალმა ორატორმა — რუმინეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც კონგრესის ტრიბუნიდან ილაპარაკეს, გამოთქვეს სრული ერთსულოვნება მომხსენებლებისადმი და ურყევი მისწრაფება—სათავეში ჩაუდგნენ მასებს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, აგრეთვე ტექსტი დეპეშისა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის სახელზე.

კონგრესის ყველა მონაწილეთა ოვაციის გრიალში წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი.

მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალი პროფესიების მუშაკთა ეროვნული საბჭოს პროტესტი სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალი პროფესიების მუშაკთა ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააუქმა ნებართვა საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობისა მშვიდობის დაცვის მიტინგებში, რომლებიც შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში მოეწყობა.

„თუმცა მთელ ქვეყანას ეცნობა, რომ მშვიდობის დაცვისათვის კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენელთა მიტინგები მოეწყობა შეერთებულ შტატების მთელ რიგ ქალაქებში, [illegible]

[illegible] რიკელ ხალხსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებს შორის.

სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკამ ამ უკანასკნელ კვირეებში ბევრი რამ ასწავლა მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალი პროფესიების მუშაკთა ეროვნულ საბჭოს. ჩვენ კონგრესი იმ მიზნით მოვიწვიეთ, რომ მოგვეწყო მშვიდობის განმტკიცების სერიოზული პრობლემის ყველა მხარის ესოდენ საჭირო განხილვა. ჩვენ გვწამდა და დღემდე გვწამს კარგი ძველებური ამერიკული ჩვეულება—მოვისმინოთ თუ რას იტყვის სხვა. [illegible]

ჰოლანდიის კომპარტიის გადაწყვეტილება

ჰააგა, 30 მარტი. (საკდესი). ამსტერდამში გამოქვეყნდა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შინაარსი, ჰოლანდიელი ხალხის ფართო წრეებში სერიოზული შეშფოთება წარმოიშვა. ბევრმა გაიგო, რომ ჰოლანდია სურთ გამოიყენონ ახალ მსოფლიო ომში, რასაც ამერიკელი მონოპოლისტები ამზადებენ საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რომ აგრესიული ატლანტიკის პაქტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირის გამოთხრას და მსოფლიო ახალი კატასტროფისაკენ მიჰყავს.

კომუნისტურ პარტიასთან ერთად ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ გამოდის აგრეთვე შრომის პარტიის, ქრისტიანულ-ისტორიული პარტიის ზოგიერთი წრე და ჰოლანდიის სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

ჰოლანდიის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრი სტიკერი ვაშინგტონს გაგზავნა ატლანტიკის პაქტის ხელმოსაწერად, ისე რომ ხალხისათვის არ უცნობებია, თუ ეს რა საშინელ შედეგს მოიტანს, და ეს საკითხი არც პარლამენტში განუხილავს. მთავრობა ჰოლანდიელ ხალხს აყენებს მომხდარი ფაქტის წინაშე და იმედოვნებს უკანა რიცხვით, პარლამენტში ფორმალური კენჭისყრის საშუალებით, დაამტკიცოს ეს პაქტი.

კომპარტია მტკიცე პროტესტს აცხადებს ასეთი მეთოდით მოქმედების წინააღმდეგ.

პირველი და მეორე პალატები შარშან იყო არჩეული და ამომრჩევლებმა მაშინ არაფერი არ იცოდნენ ატლანტიკის პაქტზე და არ ფიქრობდნენ, რომ პარლამენტის უმრავლესობის ხელმძღვანელები დღეს ომის გზას აირჩევდნენ. ამიტომ დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობას არა აქვს რწმუნება და უფლება, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც უახლოეს მომავალში ჩვენს ქვეყანას ომში ჩაითრევს.

ამერიკის სამხედრო ბლოკში ჰოლანდიის შეყვანა იმის საფუძველს იძლევა, რომ დათხოვნილ იქნას პარლამენტი და შესაძლებლობა მიეცეთ ამომრჩევლებს კვლავ გამოთქვან თავიანთი ნება. კომპარტია მოითხოვს პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების ჩატარებას, რათა შესაძლებლობა მიეცეთ პარტიებს ამომრჩეველთა წინაშე ცხადყონ თავისი დამოკიდებულება ატლანტიკის პაქტისადმი".

ნორვეგიის სტორტინგმა მოიწონა ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის მიმხრობა

სტოკჰოლმი, 30 მარტი. (საკდესი). მიუხედავად ნორვეგიელ მშრომელთა მასობრივი პროტესტებისა, სტორტინგმა (პარლამენტი) ხმის უმეტესობით მოიწონა ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის მიმხრობა და მთავრობას მიანიჭა რწმუნება ხელი მოაწეროს ამ პაქტს. ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი მიმხრობის წინააღმდეგ ხმა მისცა 11 კომუნისტმა დეპუტატმა და მუშათა პარტიის ორმა წევრმა.

სტორტინგში კამათის დროს იქ მივიდა დელეგაცია, რომელმაც ნორვეგიის დემოკრატიული საზოგადოებრიობისა და მშრომელთა სახელით სტორტინგის თავმჯდომარეს გადასცა სიები 42 ათასი ნორვეგიელის ხელმოწერით, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ჩრდილო ატლანტიკის პაქტში ნორვეგიის შეყვანის წინააღმდეგ.

კამათში გამოსულმა ნორვეგიის მუშათა პარტიის დეპუტატმა ლებერგმა განაცხადა, რომ, მიუხედავად თავისი პარტიის დადგენილებისა, იგი ხმას მისცემს ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის მიმხრობის წინააღმდეგ. ამ პაქტში ნორვეგიის მონაწილეობა მხოლოდ გააძლიერებს საერთაშორისო წინააღმდეგობას, — თქვა მან.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომუნისტმა დეპუტატმა ფოგტმა. მთავრობა და მისი მომხრეები,—თქვა მან,—იჩქარიან ჩრდილო ატლანტიკის პაქტში შეიყვანონ ნორვეგია. ისინი აპირებენ ხალხი დააყენონ მომხდარი ფაქტის წინაშე რომ უთხრან, ახლა საქმე უკვე გადაწყვეტილიაო.

ფოგტმა აღნიშნა, რომ ჩრდილო ატლანტიკის აგრესიულ პაქტში ნორვეგიის შეყვანის მიზანი ის არის, რომ იგი გამოიყენონ სტრატეგიულ პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, და განაცხადა, რომ ნორვეგიელი ხალხი არასოდეს ამას არ შეურიგდება.

ტოლიატის გამოსვლა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

რომი, 31 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" წერს, იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ტოლიატიმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში თემაზე „კომპარტია მშვიდობისათვის ბრძოლაში" ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობას და დასახა პარტიის ამოცანები მშვიდობის დაცვის საქმეში.

ტოლიატი შეეხო შედეგებს, რაც მოჰყვება იტალიის მთავრობის შეერთებას იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო ბლოკისადმი, რომელიც განმტკიცებულია ატლანტიკის პაქტით, და აღნიშნა, რომ ამ ბლოკში მონაწილეობა იტალიისათვის ნიშნავს იტალიის იმპერიალისტური ჯგუფების პოლიტიკის განახლებას. რა თქმა უნდა, იტალიის ეს იმპერიალისტური პოლიტიკა სრულიადაც არ არის ავტონომიური, არამედ დამოკიდებულია და ექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის ძლიერ იმპერიალისტურ ჯგუფებს და მას მფარველობას უწევს ვატიკანი, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა წარსულში.

ტოლიატიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმპერიალისტური პოლიტიკისადმი დაბრუნება იტალიისათვის მოასწავებს ყველა შინაგანი წინააღმდეგობის დაუყოვნებლივ გამწვავებას, ეკონომიური ბრძოლის გამძაფრებას, იტალიის გაღატაკებას, სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების აშკარა გამოყენების მეტად და მეტად გაძლიერებას. უფრო შორეულ პერსპექტივაში კი, განაგრძო მან, თუ იმპერიალისტური ქვეყნების ბლოკის მოქმედებას ომი მოჰყვა, ეს გზა ჩვენს ქვეყანას უქადის კატასტროფებსა და გადატრიალებებს, რომელთა მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინება ძნელია. ტოლიატიმ აღნიშნა, რომ ამჟამად ომის საფრთხე უფრო მწვავეა, ვიდრე ერთი წლის თუ წლინახევრის წინათ იყო, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის გზაზე მსოფლიოს აყენებენ უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმის ექსპანსიის ძალები, რომლებსაც უერთდებიან ინგლისის იმპერიალისტური ჯგუფები. ეს ჯგუფები, თქვა ტოლიატიმ, ისწრაფვიან, ერთი მხრივ, თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა დაამყარონ მთელ მსოფლიოში. მეორე მხრივ, ისინი გრძნობენ, რომ მათს პოზიციებს საფრთხე მოელის იმ რევოლუციური პროცესის შედეგად, რომელიც კოლონიურ ქვეყნებში ვითარდება, და რომ ეს წარმოადგენს მეორე გარემოებას, რაც ომის გზაზე აყენებს იმპერიალისტურ ჯგუფებს.

იმპერიალისტები აღმოჩნდნენ კოლონიურ ქვეყნებში ეროვნული განთავისუფლებისათვის წარმოებული მძლავრი მოძრაობის წინაშე.

მესამე ფაქტორი, რომელიც იმპერიალისტურ სამყაროს ომის გზაზე აყენებს, თქვა შემდეგ ტოლიატიმ, არის ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური კრიზისის სერიოზული საფრთხე. ამ კრიზისის პირველი ნიშნები უკვე იჩენენ თავს: უმუშევრობის ზრდა, წარმოების ზოგიერთი დარგის საქონლის ფასების დაცემა. მონოპოლისტური ჯგუფები ცდილობენ დაძლიონ კრიზისი იარაღის წარმოების გადიდებით. ომის საფრთხის გამამწვავებელ სხვა ელემენტებს წარმოადგენენ ფრანგი იმპერიალისტების მისწრაფება, რადაც უნდა დაუჯდეთ განამტკიცონ თავიანთი პოზიციები, აგრეთვე რევანშისტული მისწრაფებანი იტალიისა და გერმანიის დამარცხებული იმპერიალისტებისა, რომელთა მიმართ საფრანგეთისა და ინგლისის მმართველები იმეორებენ 1920-33 წლების პერიოდის საკუთარ საბედისწერო შეცდომებს.

ამ ვითარებაში, განაცხადა ტოლიატიმ, ბუნებრივია, არსებობს შემაკავებელი მომენტები, და ასეთი მომენტია, კერძოდ, იმპერიალისტური ჯგუფების შინაგანი წინააღმდეგობანი. მაგრამ ყველაზე დიდი ამლაგმავი ძალა, ყველაზე სერიოზული დაბრკოლება ომის გამჩაღებელთა გეგმების განხორციელებისა არის ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი. უკანასკნელი ომი კარგად ახსოვთ ხალხებს, და ყველასთვის გასაგებია შიში ახალი მსოფლიო კონფლიქტის წინაშე. ხალხები ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ—ეს არის იმპერიალისტური ფრონტის ძირითადი სისუსტე, და იტალიის კომპარტიამ ამ უბანს უნდა მიაპყროს მთელი თავისი ყურადღება და მთელი თავისი ძალები.

იმპერიალისტებს ესმით ეს და განუწყვეტლივ მუშაობენ იმისათვის, რომ დაძლიონ თავიანთი სისუსტე პროპაგანდის, აგიტაციის, პოლიტიკური კავშირებისა და მანევრების შემწეობით. ამისათვის მობილიზებულია აგრეთვე კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქია მას შემდეგ, რაც პაპმა აშკარად დაუჭირა მხარი დასავლეთის ბლოკის შექმნას და მოუწოდა სამხედრო ხასიათის პაქტის დადებისაკენ.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ფართო და შეუპოვარი ბრძოლა ვაწარმოოთ იმპერიალისტების ამ მოქმედებისა და ამ პროპაგანდის წინააღმდეგ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გონიერ ადამიანთა უფრო ფართო წრეს შევაგნებინოთ ის ფაქტი, რომ ამჟამად წარმოებს ახალი ომის მომზადება და რომ ამ ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია. უნდა გამოინახოს მოქმედებისა და მასების მობილიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მშვიდობის ფრონტის რიგებში გავაერთიანოთ რაც შეიძლება მეტი ორგანიზებული და არაორგანიზებული სახალხო ძალები. ასეთია ჩვენი მუშაობის მიზანი.

ამას უნდა დაემატოს, რომ ყველა ხალხს საერთო საფრთხე ემუქრება. ამიტომ საჭიროა, რომ ძალების ამ მობილიზაციამ გარკვეული აზრით დაძლიოს ეროვნული საზღვრები და გამოიწვიოს სხვადასხვა ხალხს შორის მტკიცე ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარება.

ტოლიატი შეეხო პარტიის მოქმედებას მის წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელების დარგში და გააფრთხილა პარტია შეცდომებისა და გადახრების შესაძლებლობის წინააღმდეგ. ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს პარტიამ შექმნილ პირობებში იქნება პარტიის რიგებში თავისებური ფატალიზმის გავრცელება, რომლის მიხედვითაც ომის წარმოშობა გარდუვალად ჩაითვლებოდა. ასეთი პოზიცია უაღრესად მცდარი და საშიში იქნება, და ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ასეთ პოზიციას. მისი გავრცელება შექმნის პასივობას და ლოდინის განწყობილებას და მას მოჰყვება არა მარტო ბრძოლის შენელება ომის საფრთხის წინააღმდეგ, არამედ ყველა სახის ეკონომიური, პროფკავშირული და პოლიტიკური ბრძოლის შენელებაც.

ჩვენ გარკვეულად განვაცხადეთ, თქვა ტოლიატიმ, რა მოვალეობა ეკისრება იტალიელ მშრომელთ, თუ აგრესიული ომი ატყდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და ჩვენ არასოდეს არ ვუღალატებთ ამ მოვალეობას. მაგრამ დღეს საქმე ის არის, რომ ხელი შევუშალოთ ომის წარმოშობას, რომ ისეთი ვითარება შევქმნათ, რომელიც იმპერიალისტებს არ მისცემდა შესაძლებლობას ეწარმოებინათ ომი და ამ ომში იტალია ჩაებათ. ეს არის ჩვენი პარტიის სწორი პოზიცია. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ფატალიზმის განწყობილებას, რაშიც იმალება ოპორტუნიზმი და კაპიტულაცია მტრის წინაშე, რომელიც ომისაკენ ისწრაფვის. ჩვენ პარტიას ვაყენებთ მოსახლეობის ყველა ფენაში ფართო მოღვაწეობის გზაზე, რათა დავრაზმოთ ხალხი იტალიისა და მთელი მსოფლიოსათვის მშვიდობის დასაცავად.

რა სერიოზულიც უნდა იყოს ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენ მოგველის ბრძოლის, მშვიდობის დაცვის საქმის მხარეზე იტალიელი ხალხის დიდი უმრავლესობის გადმოყვანის პერიოდი. ამ ბრძოლისათვის ჩვენ ამჟამად პარტიის წინაშე ვაყენებთ ორ კონკრეტულ ამოცანას:

პირველი ამოცანაა მასების დარაზმვა მშვიდობის მომხრეთა პარიზის კონგრესის გარშემო, რომელსაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. ეროვნული თვალსაზრისით იმიტომ, რომ ამ კონგრესმა იტალიელ ხალხს უნდა დაანახვოს, რომ იგი მარტო როდია მშვიდობისათვის ბრძოლაში; საერთაშორისო თვალსაზრისით იმიტომ, რომ კონგრესმა მთელ კაცობრიობას უნდა დაანახვოს, რომ იტალიელ ხალხს სურს მშვიდობის შენარჩუნება.

ტოლიატიმ კომუნისტებს მოუწოდა უაღრესად ფართო მასშტაბით ემზადონ პარიზის კონგრესისათვის და შემდეგ ამ კონგრესის შედეგების პოპულარიზაციისათვის.

პარტიის მეორე ამოცანაა, განაცხადა მან, მიაღწიოს, რომ ხალხმა კანონიერად და ორგანიზებულად გამოავლინოს თავისი ნება-სურვილი და მოითხოვოს იტალიის საგარეო პოლიტიკის გეზის შეცვლა.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, თუ რა სახეს მიიღებს ეს ინიციატივა, რადგან ჩვენ გვსურს შესაბამისი გადაწყვეტილებანი მივიღოთ იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან და სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომლებიც იზიარებენ ჩვენს შეშფოთებას ჩვენი ქვეყნის მომავლის გამო.

თავისი მოხსენების დასასრულს ტოლიატი შეეხო პარტიის მიერ უკანასკნელ თვეებში შესრულებულ მუშაობას.

ბრაზილიის კომპარტიის გენერალური მდივნის პრესტესის განცხადება

ნიუ-იორკი, 30 მარტი. (საკდესი). ბრაზილიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პრესტესმა ინტერვიუში, რომელიც ჰავანის გაზეთმა „ნოტისიას დე ოიმ" გამოაქვეყნა, აღნიშნა ომის საფრთხე, თუ მას ენერგიულად არ აღკვეთს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მიუხედავად მათი პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური განსხვავებისა.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლათინური ამერიკის ხალხთა პოზიცია ომის საფრთხის მიმართ, პრესტესმა განაცხადა: „ლათინური ამერიკა ამჟამად იანკის იმპერიალიზმის არიერგარდია, მისთვის სურსათისა და ნედლეულის, მათ შორის მრავალი იმ მასალის ძირითადი რეზერვია, რაც საჭიროა სამხედრო მრეწველობისათვის. გარდა ამისა, მისი მოსახლეობა, რომელიც 130 მილიონზე მეტ კაცს უდრის, საზარბაზნე ხორცის კარგი რეზერვია, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება სამხედრო ავანტიურისტებმა გამოიყენონ.

ამერიკის მონოპოლიები და ვაშინგტონის მთავრობა,—განაგრძო პრესტესმა,—ჩვენს ქვეყნებს ისეთ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ ლათინური ამერიკისადმი სრული კონტროლის მისაღწევად ისინი არ ერიდებიან ყოველ ქვეყანაში შექმნან ჰიტლერული პოლიციური დიქტატურა, რომელიც მთლიანად ემორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებებს. და როცა ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობები უარს ამბობენ დაიკავონ ბრაზილიელ დუტრას (ბრაზილიის პრეზიდენტი—რედ.) და ჩილიელ გონსალეს ვიდელას (ჩილის პრეზიდენტი—რედ.) მლიქვნელური პოზიცია, ამერიკის აგენტები საკითხს წყვეტენ სამხედრო გადატრიალების დახმარებით, როგორც ამას წინათ მოხდა ვენესუელაში, პერუში, პარაგვაისა და კოსტარიკაში".

პრესტესმა ხაზგასმით აღნიშნა მთელ კონტინენტზე მშვიდობისათვის ბრძოლის დაუყოვნებლივი მოწყობის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიების წინააღმდეგ, შეიძლება აღკვეთილ იქნას მხოლოდ ლათინურ ამერიკაში არსებული უდიდესი დემოკრატიული ძალების ინტენსიური მობილიზაციის გზით მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

„ამ გზით,—თქვა პრესტესმა,—ლათინური ამერიკის ხალხებს შეუძლიათ გადამწყვეტი ლახვარი ჩასცენ იანკის იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებს და, ამრიგად, თავიდან აგვაშორონ ახალი ქლეტა... ჩვენ არასოდეს არ აღვმართავთ იარაღს სახელოვანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ისლანდიის პარლამენტში

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). როგორც რეიკიავიკიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, ისლანდიელი ხალხის პროტესტების მიუხედავად, ისლანდიის პარლამენტმა 37 ხმით 13 ხმის წინააღმდეგ მოიწონა ისლანდიის მიმხრობა აგრესიული ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი. აგრესიული პაქტისადმი მიმხრობის წინააღმდეგ გამოვიდა 10 კომუნისტი, 2 სოციალ-დემოკრატი და პროგრესული პარტიის 1 წევრი; პროგრესული პარტიის 2 წევრმა თავი შეიკავა კენჭისყრაში.

ლექცია

8 აპრილს, დღის 1 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ **ტ. ვეფხვაძის** ლექციას თემაზე: **„ტელეხედვა". (მოძრავი სურათების გადაცემა რადიოთი მანძილზე).**

ლექციის შინაარსი: სინათლის გარდაქმნა ელექტროდენად ფოტოელემენტის შემწეობით; უინერციო ელექტრონათურა; სურათის დაყოფა ელემენტებად; მექანიკური ტელევიზორი; ელექტრონული ტელევიზორი.

ლექცია ილუსტრირებული იქნება ცდებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	2-IV	„ჩიო-ჩიო-სან"	14 სთ. 10 წთ.
	3-IV	„ლაშქარა"	დღისით
	3-IV	„აბესალომ და ეთერი"	2 სთ. 11 წთ.
	2-IV	„ჩაძირული [illegible]"	19 სთ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს კონკურსს ფარმაცევტული ქიმიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება და სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, საბუთი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომები და ფოტოსურათი.

განცხადების ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

თიანეთის მტს-ის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბებურიშვილს მისი ბიძის რაჟდენ ბებურიშვილის გარდაცვალების გამო.

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კლინიკასა და ქალაქის პირველ საავადმყოფოს ნერვულ განყოფილების ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ გ. ჟვანიას მისი ძმის [illegible]